# მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობის წესი

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აწესრიგებს დამოკიდებულებას მასწავლის მშობელსა და სკოლას შორის და ადგენს მშობლის უფლებებსა და ვალდებულებებს სკოლის მიმართ.

**მუხლი 1. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.**

1.1 მოსწავლის მშობელს უფლება აქვს, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით.
1.2 სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მშობლის უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები, თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე;
ა) ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა;
ბ) ნარკოტიკებისა, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა;
გ) უხამსობის ან ცილისწამების გავრცელების, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების , დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებისა;
დ) სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა.

**მუხლი 2**. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის ვალდებულებები:
ა. ატაროს შვილი სკოლაში მოწესრიგებული;
ბ. შეუმოწმოს სასკოლო ნივთები;
გ. გამოცხადეს სკოლაში დამრიგებლის შეტყობინებისამებრ;
დ. მონაწილეობა მიიღოს სკოლის საკითხების განხილვაში;
ე. დამრიგებელთან ერთად შეიმუშაოს და განიხილოს კლასის საქმიანობის პრიორიტეტები;
ვ. დაეხმაროს დამრიგებელს სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმა-განხორციელებაში;
ზ. აანაზღაუროს სკოლისადმი მიყენებული მატერიალური ზარალი;
თ. გაუფრთხილდეს სკოლის იმიჯს და ავტორიტეტს;
კ. დაემორჩილოს სკოლის შინაგანაწესს.

ლ. პირველივე მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სკოლაში. არასაპატიო მიზეზით მშობლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლა იტოვებს უფლებას მოსწავლის საკითხი განიხილოს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრების გარეშე;

მ. სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები. პატივისცემით მოეპყრას სკოლის დირექციას, პედაგოგიურკოლექტივსა და სკოლის

მომსახურე პერსონალს. იყოს კორექტული და არ დაუშვას სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა (რაც ისჯება შესაბამისი კანონმდებლობით);

ნ.დროულად გადაიხადოს სწავლის ღირებულება,რომლის ოდენობაც განსაზღვრულია მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებით.

ო.სკოლას მიაწოდოს მოთხოვნის საფუძველზე ყველა ინფორმაცია, გარდა იმისა, რაც ბავშვის პირად ცხოვრებას ეხება და დაცულია არსებული კანონმდებლობით;

პ. უზრუნველყოს, რომ სახლიდან გამოსვლის წინ, მოსწავლემ სასკოლო ნივთების გარდა, სკოლაში არ წამოიღოს სკოლისათვის მიუღებელი ნივთები ;

ჟ.სასწავლო პროცესის დროს, მოსწავლის სკოლიდან დათხოვნის შემთხვევაში,გააფრთხილოს კლასის დამრიგებელი;

რ. მშობელი ვალდებულია მიაქციოს ყურადღება შვილის ესთეტიკურ იერსახეს, სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად;

**მუხლი 3** . მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა

3.1. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობა, რაც გამოიხატება არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების, საცხოვრებლით, საკვებითა და ნორმალური განვითარებისთვის საჭირო სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობით, არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებით, ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობით, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია, როგორც ერთჯერადად, ისე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ან/და ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობით, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, წვრილმანი ხულიგნობით, ხულიგნობით, ალკოჰოლიანი სასმლის სმით, ცივი იარაღის ტარებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედების ჩადენით, საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომრის – „112“-ის – არამიზნობრივი გამოყენებით, – გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 100 ლარიდან 300 ლარამდე ოდენობით.

3.2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3.3. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის მიმართ განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობა, რაც გამოიხატება 14 წლამდე არასრულწლოვნის მიერ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებით, – გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

3.4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 2500 ლარის ოდენობით.

(საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მუხლი N172)

**მუხლი 4. მშობლთან ან მისი შემცვლელი პირთან კომუნიკაციის საშუალებები და ფორმები**

4.1. სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს ან მის შემცვლელ პირს

ა) მისი შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის შესახებ პირველ სემესტრში სამჯერ და მეორე სემესტრში ოთხჯერ;

ბ) სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების და ღონისძიებების შესახებ;

გ) სკოლაში მიმდინარე პროცესების, დღის რეჟიმის, მისი ცვლილების, საგაკვეთილო ცხრილის, მისი ცვლილების შესახებ ;

დ) სასკოლო სასწავლო გეგმის და სკოლის შინაგანაწესის შესახებ.

4.2. სკოლა იყენებს შემდეგ საკომუნიკაციო საშუალებებს:

ა) ბანერები სკოლის ფოიეში;

ბ) სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი;

გ) სკოლის ოფიციალური FACEBOOK-გვერდი;

დ) მშობელთა კრებები.

ე) ელექტრონული ჟურნალი schoolbook

ვ) ოფიციალური ელექტრონული ფოსტა;

ზ) წერილობითი შეტყობინება;

თ) სატელეფონო შეტყობინება;

ი) შეხვედრები პირისპირ და ონლაინ .

**მუხლი 5. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში**

5.1. მშობელი ან მისი შემცვლელი პირი ვალდებულია ჰქონდეს უკუკავშირი სკოლასთან, დამრიგებელთან, მასწავლებელთან ამ დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად;

5.2. მშობელი ან მისი შემცვლელი პირი უფლებამოსილია დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობით, სკოლის დირექციასთან შეთანხმებით გონივრულ დროს თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

5.3. მშობელი ან მისი შემცვლელი პირი უფლებამოსილია ორგანიზება გაუწიოს სკოლაში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებას;

5.4. მშობელი ან მისი შემცვლელი პირი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა სასკოლო აქტივობაში, თუ სკოლას დასაბუთებულად ესაჭიროება მისი ჩართულობა,

**მუხლი 6. მშობლის ან მისი შემცვლელი პირის უფლებები**

6.1. მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს სკოლისაგან სწავლების მაღალი ხარისხი;

6.2. შეიტანოს დირექციაში ცვლილებების პაკეტი სკოლის საქმიანობის შესახებ;

6.3. მოითხოვოს სკოლისაგან:

ა. მაღალკვალიფიცირებული მომსახურეობა;

ბ. უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო;

გ. სანიტარული ნორმების დაცვა.